

კომპანია „ჯიოსი“ მუდმივად ორიენტირებულია ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე. ჩვენ შევიმუშავეთ პოლიტიკა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ჩვენ კომპანიაში მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

ჩვენი გუნდი არ იშურებს ძალისხმევას და უწყვეტად განაგრძობს ერთობლივი პროგრამების შემუშავებას, რომელიც მიმართულია შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის სისტემების მუდმივ განვითარებაზე.

ნულოვანი ზიანის პოლიტიკა ჩვენი პრიორიტეტია და წარმოადგენს კომპანიის განუყოფელ ნაწილს.

### ჩვენი მიზანი:

- HSE ნორმატივების, სტანდარტებისა და ინსტრუქციების დაცვა;
- HSE რისკების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. პოტენციური რისკების მინიმუმამდე დაყვანა;
- მიზნების და ამოცანების შემუშავება, რომელიც შეამცირებს და მინიმუმამდე დაიყვანს სამუშაოსთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- კომპანიის მენეჯმენტში და რიგით თანამშრომლებში როლების და პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილება. შრომის უსაფრთხოება ყველას პასუხისმგებლობაა!
- ინციდენტების თავიდან აცილების ვალდებულება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაზიანებები, ავადმყოფობა, დაზინძურება, ქონებრივი და ეკოლოგიური ზიანი;
- HSE მართვის პრინციპების უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ყველა ორგანიზაციულ დაგეგმარებას;
- უწყვეტი სწავლებისა და ტრენინგების ჩატარება ყველა ჩვენი თანამშრომლისთვის, რადგან მათ უსაფრთხოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები;
- კონსულტაციები შრომის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლებთან და სხვა მხარეებთან, გადაწყვეტილების მიღების გასაუმჯობესებლად;
- უსაფრთხო გარემო და დასაქმების ღირსეული პირობები;
- ყველა სამსახურებრივი ინციდენტის გამოიძიება, განხილვა და შემდგომი სწავლება შემთხვევის გამეორების გამორიცხვის მიზნით;
- შრომის უსაფრთხოების კანონებისა და კომპანიის HSE პოლიტიკის საკითხების მიმართ რეგულარული მონიტორინგი;
- კომპანიის თანამშრომლებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის HSE ინფორმაციის გავრცელება, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩათვლით;
- სათანადო რესურსით უზრუნველყოფა, პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით. შრომის უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტია;
- სამსახურებრივი ტრამეების შემთხვევაში ყველა თანამშრომლისთვის შესაბამისი მკურნალობის გაწევა და შემდგომი რეაბილიტაცია, ზარალის ანაზღაურება.

[ გენერალური მენეჯერი: გიორგი კანდელაკი ]

